წერილის ნომერი:**31-31222082**
თარიღი: **27/07/2022**

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“

სხდომის ოქმი №10

ლანჩხუთი 26.072022 წელი

12.00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე – **მაკა მშვიდობაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ: ჯუმბერ ბლაგიძე, გოჩა ჯანაშია.

სხდომის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდობაძე/
2. სხვადასხვა საკითხები:

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე - 3 წევრი. წინააღმდეგი არცერთი

1. დღის წესრიგის პირველ საკითხზე - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარე მაკა მვიდობაძემ მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მერიის ინფრასტრუქტურის,სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის მიერ მომზადდა სუფსის სამუსიკო სკოლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ღირებულებით 28727 არი. შესაბამისი ხარჯის დაფინანსების უზრუნველყოფა მოხდება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის ხარჯზე. 2022-2023 სასწავლო წლის დაწყებამდე აღნიშნული სამუშაოების ჩატარების

აუცილებლობიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილების ასახვის მიზნით დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გოჩა ჯანაშიამ განაცხადა რომ, ის მიესალმება მუსიკალური სკოლის ერთერთი და მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარებას და მხარს უჭერს აღნიშნულ ცვლილებას, თუცა პრობლემად რჩება გაზიფიცირება და შიდა კოსმეტიკური რემონტი.

ჯუმბერ ბლაგიძემ დააფიქსირა რომ ჩვენ ოპოზიციაში მყოფი დეპუტატები ვხედავთ რაც კარგი კეთდება და მხარს ვუჭერთ ყოველივე საუკეთესოს, ასევე მიესალმება რომ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულს სულ მალე ახალი საბავშვო ბაღი და საზოგადოებრივი ცენტრი ექნება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 3 დეპუტატი

2: სხვადასხვა საკითხები:

1 ფრაქციის წევრმა ჯუმბერ ბლაგიძემ დააყენა წინადადება რომ,გრიგოლეთის მაცხოვრებლები გოჩა ოინაროვი,ბაჩო დარსალია და ანა ბიწაძე ითხოვს სანიაღვრე არხის მოწყობას. ასევე გრიგოლეთის მაცხოვრებლები ითხოვენ მოსაცდელის მოწყობას რომელითაც ისარგებლებს თბილისის მიმართულებით წამსვლელი მგზავრები.

2. ფრაქცისს თავმჯდომარე დაინტერესდა ანსაბლ მხედრების საკითხით და ფრაქციის წევრებთან ერთად შეხვდება კულტურის გაერთიანების ხელმძღვანელს, ასევე ანსაბლის წარმომადგენლებს და შეისწავლის ფრაქციის წევრებთან ერთად აღნიშნულ საკითხს.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

მაკა მშვიდობაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის"-საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის" თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის

„ლანჩხუთი საქართველოსთვის“ სხდომაზე დეპუტატთა

დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

26.07. 2022 წელი

12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	მაკა მშვიდობაძე	11:55	
2	გოჩა ჯანაშია	11:55	
3	ჯუმბერ ბლაგიძე	11:50	